ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და
ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია

დასკვნა:**დ08. 3724115001**
თარიღი:**24/04/2024**

დასკვნა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - პროექტი და დაადგინა:

1. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის #3536 განკარგულებით ეთხოვა მუნიციპალიტეტებს, მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტსაც, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლის დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრების სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალურ განყოფილებას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122მუხლის მეხუთე პუნქტისა და 122 მუხლის 8პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი განკარგვის წესით, მხარეთა შეთანხმებით არსებული ფორმით გადასცენ შესაბამისი ქონება 2026 წლის პირველ იანვრამდე.
2. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ქ. ოზურგეთში, რუსთაველის ქუჩა #22-ში (ს/კ 26.26.56.004) მდებარე უძრავი ქონების მეორე სართულზე არსებული 206,7 კვ.მ. ფართის უსასყიდლოდ, უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების სააგენტოს, გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრების სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების მუნიციპალურ განყოფილების ფართით უზრუნველყოფის მიზნით სარგებლობაში გადაცემის საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი